

განათლების ადმინისტრირების პროგრამაზე გამოყენებული სწავლების
მეთოდები და მათი შეფასება, ამავე პროგრამის სტუდენტების მიერ
(ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე)

მარიამ აბელიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან თოდაძე, მოწვეული ლექტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის - *განათლების ადმინისტრირების პროგრამაზე გამოყენებული სწავლების მეთოდები და მათი შეფასება, ამავე პროგრამის სტუდენტების მიერ (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე)* - ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

მარიამ აბელიანი

22.06.2018

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა - განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე გამოყენებული სწავლების მეთოდები და მათი შეფასება, ამავე პროგრამის სტუდენტების მიერ (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითაზე) - განხორციელებულია განათლების ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად, მარიამ აბელიანის მიერ. სწავლება საგანმანათლებლო სფეროს შემადგენელი კომპონენტია, რომლის ერთ-ერთ მთავარ მონაწილეს სტუდენტი წარმოადგენს. შესაბამისად, სტუდენტების მოსაზრებების გათვალისწინება, განათლების სფეროში გამოყენებულ სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი წინაპირობაა სწავლების ეფექტურობისთვის. მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე გამოყენებული სწავლების მეთოდების შეფასება სტუდენტების მიერ და ამ მეთოდების როლის შესწავლა სტუდენტების სწავლისა და კვლევითი უნარების განვითარებაში. საკვლევ მეთოდად შეირჩა ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან. ძირითადი მეთოდის გარდა, კვლევის დამხმარე მეთოდად გამოყენებულია დოკუმენტების ანალიზი და ექსპერტების გამოკითხვა. კვლევის ფარგლებში, ექსპერტებთან და სტუდენტებთან, მთლიანობაში 18 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა. კვლევის შედეგებმა ცხადჰყო, რომ განათლების ადმინისტრირების პროგრამაზე სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა გამოიყენება. სწავლების დომინანტურ მეთოდებს წარმოადგენს დისკუსია, პრეზენტაცია, ქეისთადი, წერიტი დავალებები და ჯგუფური მუშაობის მეთოდი. წამყვან მეთოდებში არ გვხვდება, თუმცა, ასევე გამოიყენება როლური თამაშები და დებატები. კვლევამ აჩვენა, რომ გამოყენებულ მეთოდებს შორის, სტუდენტები უპირატესობას დისკუსიისა და ქეისთადის მეთოდს ანიჭებენ, რამდენადაც, ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების განვითარებას სტუდენტებში, სწორედ ეს მეთოდები უზრუნველყოფს ყველაზე ეფექტურად. რაც შეეხება კვლევის კომპონენტს, შედეგებმა გამოავლინა, რომ კვლევა

განათლების ადმინისტრირების პროგრამის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, შესაბამისად, მრავლად გამოიყენება კვლევასთან დაკავშირებული სწავლების მეთოდები. თუმცა, არსებობს გარკვეული ხარვეზები, რაც ხელისშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენს სტუდენტებში კვლევითი უნარების განვითარების თვალსაზრისით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სწავლების მეთოდები, აქტიური სწავლება, განათლების ადმინისტრირება, კონსტრუქტივისტული მიდგომა.

Abstract

The previous labor – ‘Teaching methods used at education administration master program and evaluation of these methods by program students (on the example of Ilia State University)’ – carried out by Mariam Abelianani to receive a master’s degree in Education Administration. Teaching is one of the main component of educational sphere, where students hold one of the major place. Therefore, it is an important precondition for teaching effectiveness to take into consideration students' opinions, in terms of teaching methods used in the field of education. The aim of the study is to learn students’ assessments on teaching methods used at the education administration master program, at Ilia state university and the role of these methods in the development of students' learning and research skills. For this research, there was selected qualitative approach. Beside the main method, survey of expert’s opinions and analysis of documents were used as the auxiliary methods. Overall, 18 in-depth interviews were conducted with students and experts. The results of the study have shown that the student-oriented approach is used at the Education Administration Program. The dominant methods of teaching are discussions, presentations, case study, writing assignments and group work. There are also used role-play and debates at the program, but these are not leading methods. According to the study, among these methods, discussion and case study are the most preferable methods for students. These are the methods which are the best for developing analytic and practical skills. As for research component, the results have shown that research is one of the important part of education administration program. Hence, so many research-related methods are used at the program. In spite of this, there are some kinds of barriers that are hindering factors for developing research skills in students.

Keywords: Teaching methods, Active teaching, Education Administration, Constructivism approach.

მადლობა

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გაწეული დახმარებისთვის, კონსულტაციებისა და რეკომენდაციებისთვის, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემი თემის ხელმძღვანელს, ქალბატონ ქეთევან თოდაძეს.

მადლობას გამოვხატავ, ყველა ჩემი რესპონდენტის მიმართ, რომელთაც გამონახეს დრო და მონაწილეობა მიიღეს კვლევაში.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობარს, ლიკა ზაალიშვილს, ნაშრომის შესრულებისას გაწეული მხარდაჭერისა და რჩევებისთვის.